



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 12
28/02/2017

12-07-4-201702282350



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №12
2017წლის 28 თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში
ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისას
კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის
დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების
დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე
მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 177-ე
მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური
პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისას კონტროლის კითხვარის
ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის
დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას
ინფექციების პრევენციისას კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების
მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის
შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო
კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო



ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისას კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისას კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისას კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის 20 მარტამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).